ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი მედიცინის ფაკულტეტი

დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
კლინიკური და ტრანლაციური მედიცინა

ავთანდილ მაჭავარიანი

ღეროვანი უჯრედების და ოსტეოპლასტიური მასალების კომბინირებული გამოყენება, ყბა-სახის ტრავმული დაზიანებების დროს

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მენაბდე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

თ ბ ი ლ ი ს ი
2019

დღეისათვის ყბა-სახის მიდამოს ტრავმები ზოგადი დაზიანებების 93,3% შეადგენს. მოწოდებულია: (M.Singaram at al. 2016). ქვედა ყბის დეფექტის პლასტიკა ყბა-სახის რეკონ-სტრუქციული ქირურგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითს წარმოადგენს. მკურნალობის ეფექტურობას განსაზღვრავს ძვლის დეფექტის ზომა, ძვლოვანი ქსოვილის რეპარაციული რეგენერეაციის პროცესი, რომელიც ხშირად ჭრლობის ინფი-ცირების, მიკროცირკულაციური დარღვევებისა და ქსოვი-ლოვანი ჰიპოქსიის ფონზე მიმდინარეობს, გარდა ამისა ყბა-სახის მიდამოს ძვლოვან ქსოვილს გააჩნია ძალზედ დაბალი რეგენერაციული შესაძლებლობები, მასში სისხლმბადი ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მცირე შემცველობის გამო. აქედან გამომდინარე ძვლოვანი ქსოვილის თუნდაც ნაწილობრივი აღდგენაც კი საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

დღესდღეობით ყბა–სახის ძვლოვანი დეფექტების აღსადგენად მოწოდებულია მრავალი აუტო, ალო, ქსენო, სინთეზური და ბიოსინთეზური ძვლოვანი ტრანსპლანტან–ტები. აუტოლოგიური ძვლოვანი ტრანსპლანტანტების გამო–ყენება ყბა–სახის ქირურგიაში მიჩნეულია ოქროს სტანდარტად, ვინაიდან მათ გააჩნიათ ოსტეოგენური, ოსტეოინდუქციური და ოსტეოკონდუქტიური თვისებები. თუმცა, აუტოლოგური ძვლოვანი ტრანსპლანტანტების ძირითად უარყოფით თვისებას წარმოადგენს მისი მიღებისათვის დამატებითი ქირურგიული ოპერაციის ჩატარების აუცილებლობა. გარდა ამისა მათ გააჩნიათ სწრაფი რეზორბციის უნარი. აუტოგენური ძვლოვანი ტრანსპლანტანტების ალტერნატივას წარმოადგენს ალოგენური და ქსენოგენური ძვლოვანი ტრანსპლანტანტები. ალოგენურ ტრანსპლანტანტებს გააჩნიათ ოსტეოინდუქციური და

ოსტეოკონდუქტიური თვისებები, თუმცა მათი გამოყენებისას მატულობს სხვადასხვა ინფექციის გადაცემის რისკი. რაც შეეხება ქსენოგენურ ტრანსპლანტანტებს მათ გააჩნიათ საკმაოდ მაღალი ზოონოზური ინფექციების გადაცემის რისკი და იმუნური კომფლიქტის განვითარების ალბათობა. ყბა–სახის ძვლოვანი დეფექტების აღსადგენად, ასევე გამოიყენება ალო–პლასტიკური ტრანსპლანტანტები (პოლიმერები, ბიოკერამიკა, ბიოაქტიური შუშა და სხვა.) ამ ტრანსპლანტანტების ძირითად უპირატესობას წარმოადგენს მათი ბიოშეთავსებადობის და ბიორეზორბციის დადებითი თვისებები, თუმცა მათ გააჩნიათ სუსტი ოსტეოკონდუქციის უნარი, დაბალი მექანიკური რეზისტენტულობა და სტაბილურობა.

იდეალური ტრანსპლანტანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს : ა) სრულად უნდა ავსებდეს დაზიანებულ ძვლოვან ქსოვილს და ხელს უშლიდეს დეფექტის ფართობის ზრდას (ოსტეოინდუქციური ფუნქცია); ბ) მასალას არ უნდა ახასიათებდეს ისეთი ნაკლოვანებები როგორიც არის დამზადების რთული პროცესი დეგრადაციის დაბალი სიჩქარე და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. მათი გამოყენებისას არ უნდა აღინიშნებოდეს ისეთი გართულებები, როგორიც არის შეხორცებითი პროცესის გახანგრძლივება, ძვლოვანი ქსოვილის დაჩირქება და იმპლანტირებული მასალის მოცილება. იმპლანტირებული მასალა ხელს უნდა უწყობდეს ოსტეოციტების ფორმირების ინიციაციას და ბიოინტეგრაციას. გარდა ამისა იმპლანტს უნდა გააჩნდეს ბიოშეთავსების დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები და სწრაფი რეზო–რბირების უნარი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას სრულიად აკმაყოფილებს ჩვენს მიერ შემუშავებული ძვლოვანი მინერალის (Geistlich Bio-Oss®) და აუტოლოგიური ძვლის

ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტი. ძვლოვანი მინერალი (Bio-Oss) წარმოადგენს ნატურალურ ძვლის მინერალს, რომელიც მიიღება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლის ქსოვილებიდან. იგი ოსტეოკონდუქტიური სტრუქტურის მქონე მაღალი ხარისხის სიწმინდის მინერალია, რომელიც მიიღება ნატურალური ძვლისაგან მრავალსაფე–ხურიანი გაწმენდის სტადიის შედეგად. ვინაიდან (Bio-Oss) ბუნებრივი წარმოშობისაა, იგი ქიმიურად და სტრუქტურულად თავსებადია ადამიანის მინერალიზირებულ ძვალთან (ბუნებრივი აპატიტის ნანოკრისტალური სტრუქტურა).

კვლევის მიზანი და ამოცანები

ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან მიღებული კომპოზიტის შექმნა და მისი გამოყენება ქვედა ყბის ძვლის დეფექტის აღსადგენად ექსპერიმენტში ცხოველებზე .

ამ მიზნის განსახორციელებლად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ქვედა ყბის ძვლის მოდელირება ცხოველებზე;
- ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მიღება და მათი დასმა ძვლოვანი მინერალის ზედაპირზე;
- ქვედა ყბის ძვლის დეფეტის აღდგენა ძვლოვანი მინერალით.
- ქვედა ყბის ძვლის დეფექტის აღდგენა ძვლოვანი მინერალის და აუტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან მიღებული კომპოზიტით
- ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან მიღებული კომპოზიტის ეფექტურობის განსაზღვრა ქვედა ყბის ძვლოვანი

დეფექტის რეკონსტრუქციაში მორფოლოგიური, ჰისტოლო-გიური და რენტგენოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- პირველად შეიქმნა ბიოაქტიური ძვლოვანი გრაფტი, რომელიც წარმოადგენს ძვლოვან მინერალს (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტს.

- დადგინდა, რომ ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტს გააჩნია ოსტეოგენური, ოსტეოინდუქციური და ოსტეოკონდუქციური თვისებები. რაც ხელს უწყობს სწრაფ ოსტეოინტეგრაციას.

- ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტი შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული ყბა-სახის რეკონსტრუქციულ ქირურგიაში.

დასაცავად გამოტანილი ძირითადი დებულებები:

- ძვლოვანი მინერალი (BIO-OSS) წარმოდგენილია ფოროვანი სტრუქტურით, ახალი ძვლის ფორმირების ტემპის შესაბამისი ბიორეზორბადობის სიჩქარით, ნატურალური ძვლის მსგავსი მექანიკური რეზისტენტობით და სტაბი–ლურობით .

- ძვლოვან მინერალს (BIO-OSS) და აუტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტს გააჩნია ბიოშეტავსებადობა ოსტეოკონდუქციის, ოსტეოინდუქციის და ოსტეოინტეგრაციის თვისებები.

- ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან მიღებული კომპოზიტი წარმოადგენს აუტოლოგური ძვლის გრაფტის კონკურენტუნარიან ანალოგს.

- ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან მიღებული კომპოზიტი შეიძლება გამოყენებული იქნას ყბა-სახის ქირურგიაში ძვლის დეფექტების რეკონსტრუქციისათვის.

მასალა და მეთოდები

ექსპერიმენტული კვლევებისათვის გამოყენებული იქნა ორივე სქესის ლევისის ხაზის 100 თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვა წონით 200 – 250 გრ. ვირთაგვები მოწოდებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვივარიუმიდან. ასევე, გამოყენებული იქნა ორივე სქესის, 6 თვის ასაკის C57BL/6 ხაზის სინგენური 10 ლაბორატორული ყავისფერი თაგვი, სხეულის წონით 23-25 გრ. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მისაღებად გამოყენებული იქნა 30 ტრანსგენური C57BL/6-GFP თაგვი, სხეულის წონით 20-25 გრ.

C57BL/6-GFP ხაზის თაგვების გამოყენება განპირობებული იყო იმით, რომ მათ გააჩნიათ მწვანე ფლუორესცენტული პროტეინი, რამაც ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) ზედაპირზე ტრანსპლანტირებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების იდენტიფიცირებისა და მათი დიფერენცირების დასაბუთების განხორციელების საშუალება მოგვცა.

C57BL/6 და C57BL/6-GFP ხაზის თაგვები გამოწერილი იყო JACKSON-ის ლაბორატორიიდან (JAX-MICE , USA)

ექსპერიმენტები ცხოველებზე ჩატარდა ცხოველთა დაცვის კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროტოკოლით. ქირუგიული მანიპულაცია ჩატარებულ იქნა ზოგადი

გაუტკივარების პირობებში, (ნატრიუმის ეტამინალის ინტრაპერიტონული ინექციით, 0,5 მლ/კგ-ზე) ასეპტიკისა და ანტისეპტიკის ყველა წესის სრული დაცვით.

ყველა ცხოველს, (გარდა C57BL/6-GFP ხაზისა რომლებიც წარმოადგენენ დონორებს) შეექმნათ ქვედა ყბის ძვლის დეფექტი და ცხოველები დაიყო II სერიად:

I) სერიის ცხოველები (თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვები) დაიყო III ჯგუფად:

I) ჯგუფის ცხოველები (n=30) წარმოადგენდნენ საკონტროლო ჯგუფს, დეფექტის შექმნის შემდეგ იმყოფებოდნენ დაკვირვების ქვეშ მკურნალობის გარეშე;

II) ჯგუფის ცხოველები (n=30) ქვედა ყბის დეფექტის შექმნის შემდეგ მოხდა მისი რეკონსტრუქცია ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) გამოყენებით;

III) ჯგუფის ცხოველები (n=30) ქვედა ყბის დეფექტის შექმნის შემდეგ მოხდა მისი რეკონსტრუქცია ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან მიღებული კომპოზიტით;

დარჩენილი 10 თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვა გამოყენებული იყო, როგორც ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების დონორი.

II) სერიის ცხოველები დაიყო ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფის ცხოველები (n=30) წარმოადგენდნენ C57BL/6-GFP ხაზის თაგვებს და გამოყენებული იყვნენ, როგორც დონორები ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მისაღებად. მეორე ჯგუფის ცხოველებს (n=10), რომლებიც წარმოადგენდნენ C57BL/6 ხაზის თაგვებს, ქვედა ყბის დეფექტის მოდელირების შემდეგ მოხდა მათი რეკონტრუქცია ძვლოვანი მინერალის

(BIO-OSS) და C57BL/6-GFP ხაზის თაგვებიდან მიღებული აუტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებით.

ღეროვანი უჯრედების მიღებას ვახორციელებდით სტერილურ პირობებში, ლამინარულ კარადაში. ამ ჯგუფის ცხოველებში შეგვყავდა საანესთეზიო საშუალების ლეტალური დოზა. სუნთქვის გაჩერებისთანავე ვახორციელებდით მთლი–ანი ცხოველის სპიტრით დამუშავებას და უკანა კიდურების ამპუტაციას. ამპუტირებული კიდურები თავსდებოდა სპირიტის 70%-იან ხსნარში შემდგომ დამუშავებამდე. ამის შემდეგ ვახორციელებდით კიდურების განთავისუფლებას კუნთებისაგან სკალპელის მეშვეობით და წვივისა და ბარძაყის ძვლის სეპარაციას. განცალკევებული ძვლების გამორეცხვა ხორციელდებოდა 5% FBS-IMDM- ის ხსნარით 5 მლ-იანი შპრიცით . ძვლის ტვინის ასპირაციის შემდეგ მის დისოციაციას ვახორციელებდით 18გ ნემსით მრავალჯერადი ინსპირაცია-ასპირაციის გზით. მიღებული უჯრედული მასის ცენტრი–ფუგირება მიმდინარეობდა 10 წუთის განმავლობაში 300გ სიჩქარით. მიღებული უჯრედების სისხლის წითელი უჯრედების მალიზირებელ ბუფერში რესუსპენდირებისა და 9 წუთიანი ინკუბაციის შემდეგ ვახორციელებდით მათ განმეორებითი ცენტრიფუგირებას. საბოლოოდ უჯრედები რესუსპენზირდებოდა 5% FBS-IMDM- ის ხსნარში (2 მლ/თაგვზე). მიღებული უჯრედები დაიყო ორ ნაწილად, პირველი ნაწილი გამოვიყენეთ სიცოცხლის უნარიანობის განსასაზღვრად ტრიპანის ლურჯის მეშვეობით. ინვერტირებული მიკროსკოპის ქვეშ ნეუბაუერის კამერაში დათვლის გზით, ვახორციელებდით უჯრედული გასავალის განსაზღვრას. ხოლო მიღებული ღეროვანი უჯრედების მეორე ნაწილი დასმული იქნა (BIO-OSS)

ძვლოვან მინერალზე, უჯრედების რაოდენობა შეადგენდა 2,5 X 10^6

ყველა ჯგუფის ცხოველებში, ზოგადი გაუტკივარების პირობებში, ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესების სრული დაცვით, ცხოველს ვათავსებდით საოპერაციო მაგიდაზე. კანის თმიანი საფარველისაგან განთავისუფლებისა და მისი სპირტით დამუშავების შემდეგ, ქვედა ყბის ქვედა კიდის გასწვრივ ტარდებოდა 1,5-2 სმ სიგრძის განაკვეთი. საღეჭი კუნთის აშრევებას და ქვედა ყბის ძვლის ზედაპირის გაშიშვლებას ვახორციელებდით ბლაგვი წესით, რასპატორის გამოყენებით. ამის შემდგომ ქვედა ყბის ძვალზე ქირურგიული ბორის გამოყენებით და სათანადო გაგრილებით, იქმნებოდა 6 მმ დიამეტრის მრგვალი ფორმის ძვლოვანი დეფექტი, რომელიც არ უკავშირდებოდა პირის ღრუს.

აღნიშნული მიდამოს შერჩევა განაპირობა ქვედა ყბის ძვლის მნიშვნელოვანმა სიმტკიცემ და მისი ზედაპირის ფართობმა, აგრეთვე მასთან მიდგომა გაცილებით მარტივია და ექსპერიმენულ ცხოველს არ შეუძლია ნაკერების თვითნებურად მოცილება.

შექმნილი ძვლოვანი დეფექტი პირველი სერიის პირველი ჯგუფის ცხოველებში რჩებოდა მკურნალობის გარეშე, რადგან წარმოადგენდა საკონტროლო ჯგუფს.

მეორე ჯგუფის ცხოველებში დეფექტი შეივსო (BIO-OSS)-ის ძვლოვანი მინერალის გამოყენებით. ხოლო მესამე ჯგუფის ცხოველებში (BIO-OSS)-ის ძვლოვანი მინერალის და აუტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისაგან მიღებული კომპოზიტით. მეორე სერიის ცხოველებში ჩვენს მიერ შექმნილი ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტის რეკონსტრუქცია მოხდა (BIO-OSS)-ის ძვლოვანი მინერალის და

C57BL/6-GFP ხაზის თაგვებიდან მიღებული აუტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებით შექმნილი კომპოზიტით. ყველა ჯგუფის ცხოველებში ჭრილობა იკერებოდა უწყვეტი ნაკერებით, ვიკრილის ძაფით. ოპერაციის შემდეგ ცხოველები იმყოფებოდნენ დაკვირვების ქვეშ, ვივარიუმის სტანდარტულ პირობებში. ექსპერიმენტული ცხოველების ცდებიდან გამოყვანა ხორციელდებოდა ოპერაციიდან 3, 14, 20, 30, 60, 90, 120, 150 და 180 დღეს.

პოსტოპერაციული კვლევების ობიექტს წარმოადგენდა ქვედა ყბის ძვლის ქსოვილი ხელოვნურად შექმნილი დეფექტით. ქვედა ყბის ძვლის ფრაგმენტებს ვაფიქსირებდით პარაფორმალდეჰიდის 4%-იან ხსნარში (pH 7,4) 24 საათის განმავლობაში. ფიქსაციის შემდეგ ძვალს ვათავისუ–ფლებდით კანისა და კუნთებისაგან და ვახორციელებდით მის დემინერალიზაციას 24 საათის განმავლობაში. დეკალცინი–რებული ძვლის დეჰიდრატაციის შემდეგ პრეპარატის ჩაყალიბება ხორციელდებოდა პარაფინში. 5-7 მკმ სისქის ანათლები იღებებოდა ჰემატოქსილინ ეოზინით. შესწავლა ხდებოდა სინათლის მიკროსკოპის გამოყენებით. ასევე მასალები შესწავლილი იყო ფლუორესცენტიური მიკროსკოპის გამოყენებით. ყველა ჯგუფის ცხოველებში, ქვედა ყბაზე შექმნილი ძვლოვანი დეფექტის რეგენერაციის პროცესი, დინამიკაში მოწმდებოდა რენტგენოლოგიური კვლევების მეშვეობით, გამოყენებული იყო Vatech-ის ფირმის აპარატი.

კვლევის შედეგები

თავი 1. ქვედა ყბის ძვლის დეფექტის მოდელირების შედეგები ცხოველების საკონტროლო ჯგუფში რომლებიც იმყოფებოდნენ მკურნალობის გარეშე.

პირველ ჯგუფში ქვედა ყბის დეფექტის მოდელირებიდან პირველ დღეებში აღინიშნებოდა ჭრილობის პოსტოპერა–ციული შეშუპება, ჰიპერემია და რბილი ქსოვილების ინფილტრაცია. ოპერაციიდან მესამე დღეს, ქსოვილების პირდაპირი დაზიანების შედეგად განვითარდა მკვეთრი ანთებითი რეაქცია. ანთებითი რეაქციის შემცირება და დაზიანებული ქსოვილების აღდგენის პროცესის ინიცირება აღინიშნებოდა ოპერაციიდან მე-7 დღეს. ერთ ცხოველს ჭრილობის ირგვლივ ქსოვილებში განვითარდა ფლეგმონა. დანარჩენ ცხოველებს ოპერაციიდან მე-14 დღეს ღრძილის ლორწოვანზე განუვითარდა ნაწიბური. ამავე ვადებში დეფექტის ღრუ შეიცავდა ნეკროზულ მასებს, ძვლის ფრაგმენტებისა და მწვავე ანთების უჯრედებს. დეფექტის ძვლოვანი კიდე ნაწილობრივ შემოფარგლული იყო ვასკულარიზებული შემაერთებელი ქსოვილით. ოპერაციიდან მე-16 დღეს, დეფექტის კედლის ღრმა შრეებში, ძვლოვანი ქსოვილის სისქეში აღინიშნებოდა ენდოოსტალური ოსტეოგენეზის ზომიერი აქტივაცია, ოსტეობლასტების პროლიფერაციის სახით. მე-20 დღეს ძვლოვანი დეფექტის ზომები შემცირებული იყო ახალგაზრდა ძვლოვანი ქსოვილის ფორმირების ხარჯზე. ოპერაციიდან 30-ე დღეს დეფექტის მთელ პერიმეტრზე აღინიშნებოდა უმწიფარი ოსტეოგენური ფაშარბოჭკოვანი ფიბროზული ქსოვილის ფორმირება, რომელშიც ჩაზრდილი იყო პრიმიტიული ძვლოვანი ქსოვილი ქვედა ყბის მხრიდან. ფაშარბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილის კიდეები ზომიერად ინფილტრირებული ლიმფოციტებით, მაკროფაგებითა და ნეიტროფილებით, ხოლო უფრო ღრმა შრეები წარმოდგენილი იყო მომწიფებული ფიბროზული ქსოვილით. დეფექტის კიდეებზე ძვლოვანი

ქსოვილის ფორმირებას თან ახლდა მეორადი ოსტეოლიზისის პროცესები, რომლებიც განვითარდა ანთების საპასუხოდ ძვლის ტრავმირებისა და რეგენერაციის ზონაში და გამოვლინდა ყბის ძვლოვანი ქსოვილის რემოდელირებით, თანმხლები ოსტეოლიზისითა და ოსტეოსინთეზით.

ოპერაციიდან 90-ე დღეს დეფექტის კიდეები შემოფარგლული იყო ოსტეოგენური ქსოვილით, რომელშიც გრძელდებოდა აქტიური ოსტეოგენეზის პროცესი, ახალგაზრდა ძვლოვანი ფირფიტების დიდი რაოდენობით ფორმირებისა და ახლადწარმოქმნილი ძვლის ზონის გაფართოებით. ამავე ვადებში აღინიშნებოდა ძვლოვანი ქსოვილის ფორმირების ზონალურობა, რომელიც გამოიხატებოდა ყველაზე ახალგაზრდა სტრუქტურების ზედაპირული განლაგებით, ხოლო მომწიფებულის კი უფრო ღრმა შრეებში. ძვლოვანი ქსოვილის ფორმირების პროცესი დასრულებული იყო ოპერაციიდან მე-6 თვეს, დეფექტის ღრუ შევსებული იყო ძვლოვანი ქსოვილით, აღინიშნებოდა ძვლოვანი კორძის ჩამოყალიბება.

ოპერციიდან მე-6 თვეს რენტგენოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა დეფექტის არასწორი კონტურები და პერი–ფოკალური ანთება. ძვლოვანი ქსოვილი იყო არაჰომოგენური, გამკვრივებული, აისახა დაცხრილული სურათი. ძვლოვანი ქსოვილის დეფექტის ზომები იყო შემცირებული, მისი ღრუ კი ამოვსებული რენტგენოლოგიურად ძვლოვან ქსოვილზე ნაკლებად მკვრივი ქსოვილით. ყოველივე ზემოთაღნიშნული მიუთითებს ძვლოვანი რეგენერატის უმწიფრობაზე და მის არასაკმარის მინერალიზაციაზე.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვლოვანი ქსოვილის პოსტტრავმული დეფექტის რეპარაციული

რეგენერაცია ამ ჯგუფის ცხოველებში მიმდინარეობს აპოზიციურად უშუალოდ დეფექტის კიდეებიდან დესმო–გენური ოსტეოგენეზის სახით. დეფექტის მოდელირებიდან მე-60 დღეს მის კიდეებში აღინიშნება უმწიფარი ძვლის ფორმირება, რაც ქვედა ყბის ძვლოვანი ქსოვილის რეპარაციული რეგენერაციის დაბალ ტემპებზე მიუთითებს. ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტის რეპარაციული რეგენერაციის პროცესი მიმდინარეობს პოსტტრავმული ქრონიკული პროდუქციული ანთების ფონზე, რომლის გამოხატულება და მასშტაბები განსაზღვრავენ ოსტეორეპარაციისა და მეორადი ოსტეოლიზისის პროცესების სინქრონიზაციის შეფარდებას, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ძვლოვანი დეფექტის რეგენერაციის სიჩქარესა და ხარისხს.

თავი 2. მეორე ჯგუფის ცხოველებში (BIO – OSS) -ის ტრანსპლანტაციის შემდეგ პირველი სამი დღის გამნავლობაში აღინიშნებოდა ჭრილობის პოსტოპერაციული შეშუპება, ჰიპერემია და რბილი ქსოვილების ინფილტრაციის ნიშნები. პირველი ჯგუფის ცხოველებისაგან განსხვავებით, ამ ჯგუფის ცხოველებს აღენიშნებოდათ რბილი ქსოვილების მზარდი ინფილტრაცია 10 დღის განმავლობაში.

ამ ჯგუფის 30 საცდელი ცხოველიდან 2-ს განუვითარდა ქვედა ყბის რბილი ქსოვილების ფლეგმონოზური ანთება, რომელიც ვრცელდებოდა კანზეც. დანარჩენ 28 ცხოველში ანთების ნიშნები ნელ-ნელა მცირდებოდა და სრულიად ქრებოდა ოპერაციიდან მე-15 დღისთვის. ლორწოვანზე ჭრილობის არეში აღინიშნებოდა უხეში და ვარდისფერი ნაწიბური. ამ ჯგუფის ყველა ცხოველში შეხორცებით პროცესს თან ახლდა რბილი ქსოვილების მკვეთრად გამოხატული ქრონიკული ანთება, მაკროფაგალური გრანულომების

განვითარებით. (BIO – OSS) -ის ტრანსპლანტაციიდან ერთი თვის შემდეგ ძვლოვანი დეფექტის ღრუ ამოვსებული იყო წვრილი ძვლოვანი ფრაგმენტების ნეკროტიზებული მასებით, (BIO – OSS) -ის მატრიქსის ბოჭკოებით და ანთებითი უჯრედებით. ძვლოვანი დეფექტის კიდეებზე აღინიშნებოდა მწვავე ანთება, ნეიტროფილური ინფილტრაცია, ძვლოვანი ქსოვილის ნეკროზი და ოსტეოლიზისი. (BIO – OSS)-ის მატრიქსის ბოჭკოების რაოდენობა თანდათან კლებულობდა, მაგრამ მათი ვიზუალიზაცია შესაძლებელი იყო დაკვირვებიდან მე-60 დღეს. (BIO–OSS)-ის ტრანსპლანტაციიდან ორი თვის შემდეგ დეფექტის კიდე მთლიანად შემოფარგლული იყო ინტენსიურად ვასკულარიზირებული გრანულაციური ქსოვილით. ამასთან ერთად რიგ ადგილებში გრანულაციური ქსოვილი ინფილტრირებული იყო მაკროფაგებით, ნეიტრო–ფილებითა და ლიმფოციტებით. დეფექტის ღრუს ღრმა შრეში აღინიშნებოდა ენდოოსტალური ოსტეოგენეზის აქტივაციის ნიშნები, რაც გამოიხატებოდა ოსტეობლასტების პროლიფე–რაციით. დეფექტის შიგნითა ზედაპირიდან იწყებოდა უმწიფარი ოსტეოგენური ფაშარბოჭკოვანი ფიბროზული ქსოვილის ფორმირება, რომელიც ვრცელდებოდა დეფექტის მთელს პერიმეტრზე.

ქვედა ყბის მხრიდან აღინიშნებოდა პრიმიტიული ძვლოვანი ქსოვილის ჩაზრდა. ფაშარბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილი დეფექტის კიდეებთან ინფილტრირებული იყო ლიმფოციტებით, მაკროფაგებით და ერთეული ნეიტრო–ფილებით, უფრო ღრმად კი გადადიოდა მომწიფებულ ფიბროზულ ქსოვილში.

(BIO–OSS)-ის ტრანსპლანტაციიდან სამი თვის შემდეგ აღინიშნებოდა დემარკაციული კაფსულის ინტენსიური

ინფილტრაცია. ზოგიერთ უბანში მაკროფაგების გროვები ქმნიდნენ ერთეული გიგანტური მრავალბირთვიანი უჯრედების შემცველ გრანულომებს. ყოველივე ეს მიანიშნებდა ორგანიზმის პასუხს (BIO – OSS) - ის ხანგძლივად დეგრადირებადი ნაწილაკების მიმართ. შემაერთებელი ქსოვილის ანთებითი ინფილტრაციის გამო, ოსტეოგენეზის პროცესის მიმდინარეობას გააჩნდა არაერთგვაროვანი ხასიათი.

ოპერაციიდან 4 თვის შემდეგ (BIO–OSS)-ისა და რბილი ქსოვილების ურთერთშეხების უბანი დაფარული იყო ანთებითი გრანულაციური ქსოვილით. გრანულაციური ქსოვილის ფორებში ვიზუალიზირდებოდა ფიბრობლასტების დიდი რაოდენობა. (BIO–OSS)-ის პერიფერიაზე, რბილ ქსოვილებთან ახლოს ვიზუალიზირდებოდა გიგანტური უჯრედები. (BIO – OSS)-ის ცენტრალურ ნაწილში აღინიშნებოდა ფიბრინის გროვები და ერითროციტები და შემაერთებელ–ქსოვილოვანი უჯრედები. ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ სახეზე იყო გიგანტური უჯრედების რაოდენობის მკვეთრი მატება. შემაერთებელი ქსოვილის ჩანაცვლებითი პროცესი იწყებოდა პერიფერიიდან და თანდათანობით გადადიოდა (BIO –OSS)-ის ცენტრალურ ნაწილზე.

ძვლოვანი ქსოვილის დეფექტი კვლავ შენარჩუნებული იყო, მაგრამ აღინიშნებოდა მისი დიამეტრის შემცირება ახალგაზრდა ძვლოვანი ქსოვილის ფორმირების ხარჯზე რომელიც სარტყლისებურად მიემართებოდა დეფექტის კიდის პერიმეტრზე. ოპერციიდან მე-6 თვეს რენტგენოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა დეფექტის არასწორი კონტურები და პერიფოკალური ანთება. ძვლოვანი ქსოვილი არის ჰომოგენური და გამკვრივებული, ისახება დაცხრილული სურათი. ძვლოვანი ქსოვილის დეფექტის ზომები საგრძნობლად შემცირებული,

მისი ღრუ კი ამოვსებული რენტგენოლოგიურად ძვლოვან ქსოვილზე ნაკლებად მკვრივი ქსოვილით.

თავი 3. მესამე ჯგუფში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ოპერაციული ჭრილობის არეში პირის ღრუს ლორწოვანზე (BIO - OSS) - ისა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტის ტრანსპლანტაციის შემდეგ პირველ დღეს აღინიშნებოდა პოსტოპერაციული შეშუპების, ჰიპერემიისა და რბილი ქსოვილების ინფილტრაციის ნიშნები, I და II სერიის ცხოველების მსგავსად.

წინა სერიების ცხოველებისაგან განსხვავებით, ამ სერიის ცხოველებში რბილი ქსოვილების ინფილტრაციას ადგილი ჰქონდა მხოლოდ პირველი 5 დღის განმავლობაში. ანთების ნიშნები ნელ-ნელა მცირდებოდა და სრულიად ქრებოდა ოპერაციიდან მე-10 დღისათვის. ამ ჯგუფის არცერთ ცხოველში არ განვითარებულა ქვედა ყბის რბილი ქსოვილების ფლეგმონა. ლორწოვანის დანაწიბურება დასრულებული იყო მე-17 დღისათვის. თვით ნაწიბური იყო ნაზი და ვარდისფერი.

დეფექტის კიდე მთელს პერიმეტრზე შემოფარგლული იყო ინტენსიურად ვასკულარიზირებული გრანულაციური ქსოვილით. ძვლოვანი დეფექტის (BIO – OSS) - ისა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტით ამოვსების შემდეგ აღინიშნებოდა დეფექტის კიდის ერთეული უბნების ინფილ–ტრაცია მაკროფაგებით, ლიმფოციტებითა და ნეიტროფი–ლებით. მე-20 დღისათვის ძვლოვანი დეფექტის შიგნითა ზედაპირიდან იწყებოდა უმწიფარი ოსტეოგენური ფაშარბო–ჭკოვანი ფიბროზული ქსოვილის ფორმირება, რომელიც ვრცელდებოდა დეფექტის მთელს პერიმეტრზე. ქვედა ყბის მხრიდან აღინიშნებოდა პრიმიტიული ძვლოვანი ქსოვილის ჩაზრდა. ფაშარბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილი დეფექტის

კიდეებთან ინფილტრირებული იყო, უფრო ღრმად კი გადადიოდა მომწიფებულ ფიბროზულ ქსოვილში. ამავე ვადებში შესაძლებელი იყო კუბური ოსტეობლასტოცისტების ახალი ძვლოვანი ქსოვილის ფორმირების ვიზუალიზაცია. ტრანსპლანტაციიდან ერთი თვის შემდეგ ძვლოვანი ღრუ ამოვსებული იყო წვრილი ძვლოვანი ფრაგმენტების ნეკროტიზებული მასებით, (BIO – OSS) -ის ნაწილაკებით და ანთებითი უჯრედებით.

ოპერაციიდან 60-ე დღეს იმპლანტის ზედაპირის ზოგიერთი უბანი დაფარული იყო ახლადგანვითარებული ძვლოვანი ქსოვილით. შესაძლებელი იყო ასევე ბაზოფილური შრის ვიზუალიზირება (BIO – OSS) - ის ზედაპირზე. (BIO – OSS) -ის პერიფერიაზე, რბილ ქსოვილებთან ახლოს ვიზუალი–ზირდებოდა გიგანტური უჯრედები. (BIO–OSS) -ის ცენტრალურ ნაწილში აღინიშნებოდა ფიბრინის გროვები და ერითრო–ციტები, ასევე შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედების მცირე რაოდენობა.

ოპერაციიდან მე-3 თვეს სახეზე იყო გიგანტური უჯრედების რაოდენობის მკვეთრი მატება. შემაერთებელი ქსოვილის ჩანაცვლებითი პროცესი იწყებოდა პერიფერიიდან და თანდათანობით გადადიოდა (BIO–OSS) -ის ცენტრალურ ნაწილზე . უკანასკნელის ზომები საგრძნობლად შემცირებით. იმპლანტაციიდან 120-ე დღეს ვიზუალიზირდებოდა ძვლოვანი ქსოვილის ფირფიტები, რომელიც შეიცავდა ძვლის ტვინს. ყოველივე ზემოთაღნიშნული მიუთითებს ახლადწარმოქმნილი ქსოვილის რეკონსტრუქციაზე. ოპერაციიდან 120-ე დღეს იმპლანტის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩანაცვლებული იყო ძვლოვანი ქსოვილით.

ოპერციიდან 4 თვის შემდეგ რენტგენოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა დეფექტის სრული აღდგენა ახლად წარმოქმნილი ძვლოვანი ქსოვილით, რომელიც არის ჰომოგენური და გამკვრივებული.

თავი 4. ძვლოვანი დეფექტის რეკონტრუქციის შედეგები (BIO-OSS) -სა და C57BL/6-GFP ხაზის თაგვებიდან მიღებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გამოყენებით, ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ქვედა ყბის ძვლოვან დეფექტში იმპლანტირებული ძვლოვანი მინერალის კომბინაცია C57BL/6-GFP თაგვებიდან მიღებული ძვლის ტვინის ღეროვან უჯრედებთან. კვლევებით დადგინდა დონორული უჯრედების პერიოსტალური, ენდოოსტალური და სტრომული ლოკალიზაცია. ტრანსპლანტაციიდან მე-18 დღეს ძვლოვან დეფექტში აღმოჩენილი იქნა დადებითი ოსტეოციტები. ამავე ვადებში ძვლოვანი დეფექტის კიდეების გასწვრივ ვიზუა–ლიზირდებოდა მწვანე ფლუორესცენტული პროტეინის მასინთეზირებელი სხვადასხვა ფორმისა და ექსცენტრულად განლაგებული ბირთვის მქონე უჯრედები. მორფო-ტოპოგრაფიული მახასიათებლების შესაბამისად ისინი ჩვენს მიერ იქნა იდენტიფიცირებული,როგორც პროტეობლასტები და ოსტეობლასტები. უდავოა, რომ აღნიშნული უჯრედები ღებულობდნენ უშუალო მონაწილეობას რეპარაციული ოსტეოჰისტოსინთეზის პროცესში. ტრანსპლანტაციიდან ოთხი თვის შემდეგ აღინიშნებოდა ერთიანი ძვლოვანი კორძის ჩამოყალიბება. სახეზე იყო ასევე ჰიალინური ხრტილოვანი ქსოვილის ფორმირებაც. რეგენერატის ტრაბეკულებს გააჩნდათ ოსტეოქონდროგენული შენება, რომელშიც აქტიურად ერთვებოდნენ ე.წ. “მწვანე უჯრედები”.

ამგვარად, ტრანსპლანტირებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მიერ ხორციელდებოდა ძვლოვანი დეფექტის კოლონიზაცია და რეციპიენტის კამბიუმის ელემენტების შევსება. გარდა ამისა, აღნიშნული უჯრედები პროგრესულად დიფერენცირდებოდნენ ძვლოვანი მატრიქსის პროდუცენტ უჯრედბად. ჩვენს მიერ წარმოებულმა კვლევამ ცხადყო, რომ სწორედ ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები განიცდიდნენ პროლიფერაციასა და დიფერენცირებას. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების პოლიპოტენტურობის ხარჯზე, მიკროგარემოს პირობებთან შესაბამისობაში აღნიშნულ უჯრედებს შეუძლიათ დიფერენცირდნენ ოსტეოგენური მიმართულებით. ამგვარად ზემოთაღნიშნულიდან გამომდი–ნარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ (BIO – OSS) -ისა და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტის გამოყენება ხელს უწყობს ძვლოვან კორძში ძვლის ტვინის სწრაფ ფორმირებას.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ როგორც საკონტროლო, ისე ძირითადი ჯგუფის ცხოველებში ძვლოვანი ქსოვილის რეპარაციული რეგენერაცია მიმდინარეობს პერიოსტალური და ინტერმედიალური რეგენერატის წარმოქმნით. ამავე დროს, ძვლოვანი დეფექტის კონსოლიდაცია 3 ჯგუფში უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ამ ჯგუფებში ადრეულ პოსტტრავმულ ცვლილებების ფაზაში, ნაკლებად გამოხატულია ანთებითი რეაქცია, რაც ღეროვანი უჯრედების მიერ ანთებითი რეაქციის ინჰიბირების ხარჯზე ხორციელდება. ამავე დროს, რეგენერაციის ფაზაში, ღეროვანი უჯრედების დიფერენცირების ხარჯზე ხდება ძვლოვანი ქსოვილის კამბიალური უჯრედების ინტენსიური

პროლიფერაცია და მათი ოსტეობლასტებად სწრაფი დიფერენციაცია.

რეგენერაციული პროცესების და რეგენერატის შემდგომი ფუნქციონალური ადაპტაციის დაჩქარებაში არსებით როლს თამაშობს (BIO–OSS)-ი რომლის სტრუქტურა ასრულებენ მატრიქსის როლს ახალი ძვლოვანი ქსოვილის წარმოქმნაში. გარდა ამისა, (BIO–OSS)–ის არაორგანულ ძვლოვან მატრიქსს გააჩნია მაკრო და მიკრო ფოროვანი სტრუქტურა, რაც ანალოგიურია ადამიანის ღრუბლოვანი ძვლის მინერალური სტრუქტურის. ტრანსპლანტაციიდან მე-2 თვეს იწყება (BIO–OSS)–ის ნაწილობრივი რემოდელირება ოსტეოკლასტებითა და ოსტეობლასტებით.

ამგვარად, ჩვენი გამოკვლევების შედეგები მიუთითებენ იმაზე, რომ ძვლოვანი დეფექტების აღდგენის დროს ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გამოყენება, რომელიც ხასიათდება ოსტეოინდუქციური, ოსტეოკონდუქციური და ოსტეოინტეგრაციული თვისებებით, ხელს უწყობენ ქვედა ყბის ძვლის აღდგენის პროცესის დაჩქარებას.

მიღებული შედეგების განხილვა

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სხვადასხვა ეტიოლოგიის ყბა-სახის დეფექტების აღდგენა, თანმხლები ანატომიური, ფუნქციური, კოსმეტიკური და მძიმე ფსიქიკური დარღვე–ვებით, თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ქვედა ყბის ძვლოვანი და რბილი ქსოვილების დეფექტის განვითარების უხშირეს მიზეზს, ტრავმული დაზიანებები და სისმსივნეების ამოკვეთა წარმოადგენს.

ქვედა ყბის დეფექტების კლინიკური სურათი დამოკიდებულია მის ლოკალიზაციაზე, ფართობზე, მონატეხ ფრაგმენტებს შორის ნაწიბუროვანი კონტრაქტურის

არსებობაზე, ძვლის მონატეხ ფრაგმენტზე კბილების არსებობაზე და მიმდებარე უბნების კანის საფარველის დაზიანების ხარისხზე. ატროფიის, ტრავმის, სიმსივნის, თანდაყოლილი დეფორმაციების, პაროდონტის დაავადებებისა და ყბის პარანევრალური კისტების მიზეზით განვითარებული ყბა-სახის დეფექტების ქირურგიული მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციის უნარზე, რომელიც ხშირად ინფიცირებული ჭრილობის პირობებში, მიკროცირკულაციის დარღვევისა და ქსოვილების ჰიპოქსიის ფონზე მიმდინარეობს. გამოყოფენ ძვლოვანი პლასტიკის ხუთ ძირითად მიმართულებას: აუტოპლასტიკა, ალოპლასტიკა, ქსენოპლასტიკა, იმპლანტაცია და კომბინირებული ტრანსპლანების გამოყენება.

ყბის ალვეოლარული ქედის მნიშვნელოვანი ატროფიის დროს შეუძლებელია ინტრაოსტალური იმპლანტაციის შესრულება, გარდა ამისა ძალზედ გართულებულია ორთო–პედიული მკურნალობა მოსახსნელი და ფიქსირებული პროთეზების გამოყენებით. ძვლოვანი ქსოვილის პროგრესი–რებადი ატროფიით გამოწვეული ალვეოლური ქედის მოცულობის შემცირება, ძვალშიდა იმპლანტაციის გამოყენების შესაძლებლობას ამცირებს, ქვედა ყბის ნერვის დაზიანების მაღალი რისკის, პირის ღრუს პერფორაციისა და ზედა ყბის სინუსის ლორწოვანის გაგლეჯვის გამო.

ალვეოლური ქედის (ძვლის სიმაღლის) აღდგენა შესაძლებელია ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორც არის სინუსლიფტინგი, პლასტიკა აუტოძვლით, ალვეოლარული მორჩის დისტრაქციული ოსტეოგენეზი და ა.შ. ალვეოლური ქედის აღდგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს დეფექტის ტოპოგრაფიული თავისებურებები.

(Bio-Oss) –ის არაორგანულ ძვლოვან მატრიქსს გააჩნია მაკრო ან მიკრო ფოროვანი სტრუქტურა, რაც ანალოგიურია ადამიანის ღრუბლოვანი ძვლის მინერალური სტრუქტურის. ახლად წარმოქმნილი ძვლის ქსოვილის, გადანერგილ მიდამოში (იმპლანტირების ადგილას), წარმოქმნა და ჩაზრდა სტიმულირდება ერთმანეთთან დაკავშირებული ფოროვანი სტრუქტურული მოცულობისა და მინერალების ბუნებრივი შემადგენლობის მეშვეობით. დროთა განმავლობაში ხდება (Bio-Oss) –ის ნაწილობრივი რემოდელირება ოსტეოკლასტებითა და ოსტეობლასტებით (ფიზიოლოგიური რემოდელირება). თავისი თვისებების გამო, ძვლოვანი დეფექტების აღდგენის სფეროში, (Bio-Oss) წარმოადგენს აუტოლოგური ძვლის გადანერგვის კონკურენტუნარიან ანალოგს. აუტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების დამატებამ ძვლოვან მინერალზე, საშუ–ალება მოგვცა დაგვეჩქარებინა ძვლის რეგენერაციის პროცესი. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები მათი პოლიპო–ტენტურობის ხარჯზე განიცდიდნენ პროლიეფრაციასა და დიფერენცირებას. მიკროგარემოს პირობებთნ შესაბამისობაში აღნიშნული უჯრედები დიფერენცირდნენ ოსტეოგენური მიმართულებით.

ჩატარებულმა კვლევებმა ასევე გვიჩვენა, რომ ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) ტრანსპლანტაციის მეორე თვიდან იწყება მისი ნაწილობრივი რემოდელირება ოსტეოკლასტებითა და ოსტეობლასტებით.

აღსანიშნავია , რომ ქვედა ყბის დეფექტის რეპარაციული რეგენერაცია მიმდინარეობს დესმოგენური ოსტეოგენური გზით, რომელსაც თან ახლავს ქრონიკული პროდუქციული ანთება. ეს უკანასკნელი იწვევს ოსტეოგენეზისა და ოსტეოლიზისის პროცესების პარალელურ ინიცირებას,

რომლის თანაფარდობაც განსაზღვრავს ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციის სისწრაფესა და ხარისხს. გარდა ოსტეოგენური დიფერენცირებისა ძვლოვან უჯრედებს ახასითებთ ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, რაც შესაბამისად ამცირებს მეორად ოსტეოლიზისს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტის გამოყენება ძვლოვანი დეფექტების რეკონსტრუქციაში ხელს უწყობს ძვლოვან კორძში ძვლის ტვინის სწრაფ ფორმირებას.

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ საკვლევი უჯრედების მსგავსად საკონტროლო ჯგუფის ცხოველებშიც ძვლოვანი ქსოვილის რეპარაციული რეგენე–რაცია მიმდინარეობს პერიოსტალური და ინტერმედიალური რეგენერატის წარმოქმნით. ძვლოვანი დეფექტის კონსო–ლიდაცია ძირითად ჯგუფში უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ძირითადი ჯგუფის ცხოველებში ადრეულ პოსტტრავმული ცვლილებების ფაზაში პრაქტიკულად არ არის ანთებითი რეაქცია, რაც ღეროვანი უჯრედების მიერ ანთებითი რეაქციის ინჰიბირების ხარჯზე ხორციელდება.

რეგენერაციული პროცესების და რეგენერატის შემდგომი ფუნქციონალური ადაპტაციის დაჩქარებაში არსებით როლს თამაშობს (BIO-OSS)-ი, რომლის გრანულები ასრულებენ მატრიქსის როლს ახალი ქსოვილის წარმოქმნაში და მართავენ მის ზრდას. ამავე დროს რეგენერაციული პროცესები საშულებას იძლევა ამ უკანასკნელის მექანიკური თვისებების გაზრდაში. ამგვარად ჩვენი გამოკვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ ძვლოვანი დეფექტების აღდგენის დროს

ძვლოვან მინერალთან ერთად ძვლის ღეროვანი უჯრედების გამოყენება ხასიათდება ოსტეოინდუქციური, ოსტეოკონ–დუ–ქციური და ოსტეოინტეგრაციის თვისებებით,რომელიც ხელს უწყობს ქვედა ყბის ძვლის აღდგენითი პროცესის დაჩქარებას.

დასკვნა

ქვედა ყბის ძვლის დეფექტის რეკონსტრუქციამ კვლევით ექსპერიმენტში (ცხოველებზე) დაადასტურა ძვლოვანი მინერალ (BIO-OSS) და აუტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების ბიოშეთავსებადობის, ოსტეოკონ–დუციის, ოსტეოინდუქციის და ოსტეოინტეგრაციის უნარი.

ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და აუტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტს გააჩნია ფოროვანი სტრუქტურა, ახალი ძვლის ფორმირების ტემპის შესაბამისი რეზორბციის სიჩქარე, ნატურალური ძვლის მსგავსი მექანიკური რეზისტენტობა და სტაბილურობა.

პრაქტიკული რეკომენდაცია

ძვლოვანი მინერალის (BIO-OSS) და ავტოლოგიური ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების კომპოზიტი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ძვლოვანი დეფექტების შესავსებად და ძვლის აუგმენტაციისათვის შემდეგ შემთხვევებში: ალვეოლური მორჩის აუგმენტაცია/რე–კონსტრუქცია; კბილბუდის შევსება კბილის ექსტრაქციის შემდგომ. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმპლანტოლოგიაში: იმპლანტის ჩასანერგად მონაკვეთის მომზადებისათვის, ძვლის ნაპრალების შესავსებად და სინუს ლიფტინგის დროს; პაროდონტოლოგიაში: ძვლოვანი

დეფექტების შევსებისათვის; ყბა–სახის ქირურგიაში: ძვლოვანი დეფექტების რეკონსტრუქციისათვის და ორთოპედიაში დიდი ზომის ძვლოვანი დეფექტების აღსადგენად.

საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები:

1. Mardaleishvili, K., Kakabadze, Z., Machavariani, A., Grdzelidze, T., Kakabadze, A., Sukhitashvili, N., Kurashvili, T., Shonia, N., Menabde, G., Abiatari, I."Benign osteoblastoma of the mandible in a 12-year-old female: A case report". Oncology Letters 8.6 (2014): 2691-2694. https://doi.org/10.3892/ol.2014.2593
2. Karalashvili L, Chichua N, Menabde G, Atskvereli L, Grdzelidze T (2017) Decellularized Bovine Bone Graft for Zygomatic Bone Reconstruction. Med Case Rep Vol.4 No.1:52. https://doi.org/10.21767/2471-8041.100087
3. Use of osteoplastic material to guide bone tissue regeneration deffect. Machavariani A, Mazmishvili K, Grdzelidze T, Menabde G, Amiranashvili I. Georgian Med News. 2011 Dec; (201):70-73. http://www.geomednews.org/shared/issues/med227.pdf
4. Restoration of jaw bone tissue defect using osteoplastic material. Grdzelidze T, Machavariani A, Menabde G, Gvelesiani N, Amiranashvili I. Georgian Med News. 2014 Feb;(227):89-92. http://www.geomednews.org/shared/issues/med227.pdf
5. THE GUIDED REGENERATION OF JAW BONE DEFECTS WITH COMBINATION OF OSTEOPLASTIC MATERIALS AND STEM CELLS Machavariani A; Menabde G; Zurmukhtashvili M; Georgian Med News.2019 June; (291).

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Medicine

Doctoral Program

Clinical and Translational Medicine

Avtandil Machavariani

The use of combination of stem cells and osteoplastic materials for maxillofacial traumatic injuries

Scientific Head: Giorgi Menabde

MD PhD, Professor

A u t o r e f e r a t

Thesis submitted to defend academic degree of Doctor of Philosophy in Medicine

Tbilisi

2019

Background

